



რესურსეფექტური და სუფთა წარმოების განვითარება საქართველოში

რესნ მეთოდოლოგია

რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესნ) არის პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიების ინტეგრირებული და უწყვეტი გამოყენება პროცესებზე, პროდუქტებსა და სერვისებზე, რათა გაზარდოს ეფექტურობა და შეამციროს რისკები ადამიანებისა და გარემოსთვის. რესნ არის ყველაფერი ნაკლები რესურსებით წარმოებაზე, გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაზე და მთლიანი პროდუქტიულობის გაზრდაზე. **მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის** რესნ მეთოდოლოგია არის ეფექტური ინსტრუმენტი წარმოების ხარჯების შესამცირებლად მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტული უპირატესობის გასაუმჯობესებლად და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის გამოყენებით. ასევე, რესნ ითვლება ეფექტურ ინსტრუმენტად მცირე და საშუალო ბიზნესში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და პოპულარიზაციისთვის.

შპს "თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკა" - ქათმის ხორცის და კვერცხის წარმოება



კომპანიის მიმოხილვა
მდებარეობა: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი წალასყური
ძირითადი პროდუქცია: ქათმის ხორცი, კვერცხი
თანამშრომლების რაოდენობა: 15
ძირითადი ბაზრები: ადგილობრივი (თბილისი, რუსთავი)
დაარსების წელი: 2014



"თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკა" არის მცირე ზომის მეფრინველეობის ფერმა. 2014 წელს დაარსებული საწარმო დღეში დაახლოებით 14,000 კვერცხს და წლიურად დაახლოებით 5 მილიონ კვერცხს აწარმოებს, რომლებიც შემდეგ ნაწილდება თბილისისა და რუსთავის ადგილობრივ ბაზრებზე. წარმოება განლაგებულია ორ შენობაში, რომლებიც განკუთვნილია ინკუბაციისა და კვერცხის წარმოებისთვის. ამჟამად, ძირითადი საწარმოო უბანი კაპიტალურ რემონტშია, რადგან კომპანია გეგმავს მიმდებარე შენობის აშენებას ქათმის დასაბინავებლად და არსებული ობიექტების გაფართოებას, რათა გაუმკლავდეს გაზრდილ დატვირთვას. შედეგად, კომპანიის ყურადღებამ და რესურსებმა გადაინაცვლა განახლებისკენ, რესნ ღონისძიებების განხორციელება კი ცალკე ხდება. მიუხედავად ამისა, ჭარბი ნარჩენების (რომელიც ღიად ინახება ახლომდებარე მინდორზე ან ჩუქდება ადგილობრივ ფერმერებზე სასუქად) მართვისათვის მოტივირებულმა, საწარმომ მონაწილეობა მიიღო რესნ სადემონსტრაციო პროექტში EU4Environment პროგრამის (2019-2024) ფარგლებში. აღნიშნული პუბლიკაცია აჩვენებს კომპანიის გამოცდილებას, რომელიც ასახულია შემდგომ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშში.

რესნ ვარიანტების განხორციელებით მიღებული სარგებელი

1	2	3	4
რესნ-ის 3 ვარიანტის განხორციელება (განსაკუთრებით ენერგოეფექტურობაზე და მყარი ნარჩენების გამოყენებაზე ორიენტირებული)	საჭირო ინვესტიციის უკუგების მოკლე პერიოდი	ენერჯის მოხმარების შემცირება ერთ ტონა პროდუქტზე და ნარჩენების გამოყენება საწვავად	ენერჯის წლიური დაზოგვები და ემისიების შემცირება წლიურად 97 ტონა CO ₂ -ექ.-ით

Action implemented by:



პროექტის მიდგომა

რესნ შეფასების დროს მოხდა სანარმოო უბნის შემოწმება და რესნ-ის რამდენიმე ვარიანტის იდენტიფიცირება, რომელთაგან პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ სამს. ეს რეკომენდაციები მოიცავს საშუალო და დაბალხარჯიან ღონისძიებებს:

რესნ ვარიანტი 1. ბიოგაზის სადგურის მონტაჟი: ეს ძირითადად მოიცავს ბიოგაზის სადგურის მშენებლობას, რომელიც შემდგომში ინტეგრირებული იქნება შენობის გათბობის სისტემაში. ასევე მოხდება გათბობის ბლოკების მოდიფიცირება, ბუნებრივ აირზე მუშაობისთვის. აღნიშნული ღონისძიება დიდწილად აღმოფხვრის კომპანიის დამოკიდებულებას წიაღისეულ საწვავზე და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ახალ გარემოსდაცვით რეგულაციებთან, რომელთა განხორციელებასაც საქართველოს მთავრობა გეგმავს უახლოეს წლებში. გარდა ამისა, ბიოგაზის წარმოების შედეგად მიღებული სასუქები ასევე სარგებელს მოუტანს ადგილობრივ ფერმერებს.

რესნ ვარიანტი 2. თბური ენერჯის რეკუპერაციის სისტემის მონტაჟი: შენობის ვენტილაციის სისტემაში სითბოს რეკუპერირების სისტემის დაყენება ხელს შეუწყობს გათბობისთვის საჭირო ენერჯის მოხმარების შემცირებას.

რესნ ვარიანტი 3. ნათურების შეცვლა LED ნათურებით: ძველი ვარვარა ნათურების ჩანაცვლება ახალი შუქდიოდური (LED) ნათურებით შეამცირებს ელექტროენერჯის მოხმარებას და ხარჯებს.

მიღწეული დაზოგვები

ძირითადი განხორციელებული ქმედებები

ვარიანტი 1	ბიოგაზის სადგურის მონტაჟი
ვარიანტი 2	თბური ენერჯის რეკუპერაციის სისტემის მონტაჟი
ვარიანტი 3	ნათურების შეცვლა LED ნათურებით

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

რესნ ვარიანტები	ინვესტიცია (ევრო)	დაზოგვები (ევრო/წ)	უკუგების პერიოდი (წ)
ვარიანტი 1:	40,500	14,000	2.9
ვარიანტი 2:	4,000	3,000	1.3
ვარიანტი 3:	280	640	0.4

რესურსების დაზოგვები

რესნ ვარიანტები	ბუნებრივი აირი (კვტ.სთ/წ)	ელექტროენერჯია (კვტ.სთ/წ)	დიზელი (კვტ.სთ/წ)
ვარიანტი 1:	60,000	/	/
ვარიანტი 2:	/	/	97,500
ვარიანტი 3:	/	7,200	/

ემისიების ჯამური შემცირება

რესნ ვარიანტები	CO ₂ -ექ. (ტონა/წ)	ნარჩენები (ტონა/წ)
ჯამი:	97	720

“ კომპანიაში ჭარბად წარმოქმნილი ბიომასის ნარჩენები, რომელთა გამოყენება ან გადამუშავება რთული იყო. რესნ სადემონსტრაციო პროექტის წყალობით, ჩვენ ვისწავლეთ ჩვენი ტექნოლოგიის სისტემატური განახლება და ინვესტირება მმართველი პერსონალის ცნობიერების ამაღლებაში. ეს ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება ჩვენი პროდუქციის კარგი ხარისხის შენარჩუნებას და ბაზარზე კონკურენტუნარიანობას. რამდენადაც ჩვენ ვგეგმავთ წარმოების ხარისხის გაუმჯობესებას და სიმძლავრის გაზრდას, რესნ პროექტმა შთაგვაგონა ახალი იდეები და მიდგომები სამომავლოდ რესნ ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, განაცხადა **კომპანიის დირექტორმა ბ-ნმა ზვიად გოგოლაძემ**.

რესნ-ის დანერგვა იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის - EU4Environment-ის ნაწილი, განხორციელებული UNIDO-ს მიერ. ამ კონტექსტში, “თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკა” შეუერთდა რესნ ტრენინგებისა და დახმარების პროგრამას. შემდგომი ვიზიტები ასევე ჩატარდა EU4Environment-ის ფარგლებში, რეკომენდებული რესნ ვარიანტების განხორციელების შესამოწმებლად. EU4Environment ეხმარება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, შეინარჩუნონ ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა გარემოსთან დაკავშირებული ქმედებების მხარდაჭერით, უფრო მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებითა და გახსნით და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების დანერგვით. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.eu4environment.org

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია UNIDO და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის მხედველებს.

© – 2023 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირში გარკვეული პირობებით.



გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია
ქ-ნი ტატიანა ჩერნიავსკაია
EU4Environment პროექტის მენეჯერი
ტელ: +43 1 26 0 26 5520
ელ-ფოსტა: t.chernyavskaya@unido.org



ენერგოეფექტურობის ცენტრი
0160, დ.გამრეკელის ქ. 19, VI სართული,
ოფისი 611, თბილისი, საქართველო
ტელ: +99 53 2224 25 42
ელ-ფოსტა: eecgeo@eecgeo.org
ვებგვერდი: www.recip.ge